

გიორგი ხუციშვილი


# ტერორიზმი

რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ?



Die Stiftung für liberale Politik

Friedrich Naumann  
*Stiftung*



პროფესორ გიორგი ხუციშვილის წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ტერორიზმის შესახებ საწყისი ცოდნის შემცველი პოპულარული, ფართომკითხველისთვის განკუთვნილი ნაშრომის შექმნის მცდელობას. ავტორი შეეცადა, სხვადასხვა კუთხით შეეხედა ამ ურთულესი ფენომენისთვის, რათა მკითხველს გაჩენილ კითხვებზე ფიქრის მოთხოვნილება გაეღვიძოს. ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ახალგაზრდობისთვის. ავტორი მადლიერია ფრიდრიხ ნაუშმანის ფონდის მხარდაჭერისთვის.

გიორგი ხუციშვილი

## ტერორიზმი

რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ?

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების  
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

თბილისი  
2003



**გიორგი ხუციშვილი**  
**ტერორიზმი**  
**რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ?**

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო  
კვლევითი ცენტრის პუბლიკაცია ფრიდრიჰ ნაუმანის  
ფონდთან თანამშრომლობით

**George Khutsishvili**  
**Terrorism**  
**What should we know about it?**

This is a Publication of the  
International Centre on Conflict and Negotiation  
in Cooperation with  
Friedrich Naumann Foundation

კონფლიქტოლოგიის ცენტრის მისამართია:  
იმანაბლის 5, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ.: (995-32) 999 987  
ფაქსი: (995-32) 939 178  
ელ. ფოსტა: [iccn@iccn.ge](mailto:iccn@iccn.ge)  
[www.iccn.ge](http://www.iccn.ge)

ISBN 99928-937-9-6

Copyright © 2003 George Khutsishvili  
საავტორო უფლებები დაცულია

**ს ა რ ჩ ე ვ ი:**

**ნაწილი I**  
**ტერორიზმის ბუნება და წყაროები**

ტერორიზმის მოკლე ისტორია და განსაზღვრებები . . . . .	7
ტერორიზმის სოციალური და ეთნოკულტურული ფესვების შესახებ . . . . .	13
თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების აგებულების შესახებ . . . . .	14
საზოგადოებაში ტერორიზმის აღქმის ძირითადი ფორმები . . . . .	17
სავარჯიშო . . . . .	20

**ნაწილი II**  
**ტერორისტული აქტის სიტუაცია, როგორც პრობლემა**

ხელისუფლებისა და ტერორისტების ურთიერთმოლაპარაკების პროცესის შესახებ . . . . .	25
ტერორისტებისა და მძევლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ . . . . .	26
ტერორიზმი და ჟურნალისტიკა: პრესისა და ხელისუფლების ურთიერთქმედება ტერაქტის ვითარებაში . . . . .	27
მას-მედია ტერაქტის ვითარებაში: ზოგიერთი პრინციპი . . . . .	31

**ნაწილი III**  
**ტერორიზმი და პოლიტიკა**

ტერორიზმის გამომწვევი პოლიტიკური მიზეზები . . . . .	35
ე.წ. „ტერორიზმის მხარდამჭერი ხალხების“ შესახებ . . . . .	37
ტერორიზმის აღქმა „შიენიდან“ . . . . .	40
ტერორიზმი: ომის დანაშაული არასაომარ დროში? . . . . .	43
მთავარი დასკვნები . . . . .	45
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	47

ჩემს შვილს ვიქტორია-სოფიოს

ნაწილი I.

ტეროროზმის ბუნება და  
წყაროები

გიორგი ხუციშვილი

**ტერორიზმი:**

რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ?

თბილისი - 2003

## ნაწილი I. გერორიზმის ბუნება და წყაროები

### გერორიზმის მოკლე ისტორია და განსაზღვრებები

გერმინი “გერორიზმი” პირველად გაისმა 1795 წელს, პოსტ-რევოლუციურ საფრანგეთში, ე.წ. “გერორით მმართველობის” (regime de la terreur) პერიოდში. XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთში გერორისგული ჯგუფის “ნაროდნაია ვოლიას” წევრთა მიერ 1881 წლის მარტში მეფე ალექსანდრე II მკვლელობით დაიწყო ის პროცესი, რამაც XX საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეთა - ერცპერცოგ ფრანც-ფერდინანდით დაწყებული (1914 წ., პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბი) - მთელი პლეადა შეიწირა (საკმარისია გავისხენოთ მაჰათმა განდი, მარტინ ლუთერ კინგი, ალლო მორო, იცჰაკ რაბინი და სხვ.). 1917 წლის ოქტომბრიდან კი რუსეთში დამკვიდრდა ბოლშევიკური რეჟიმი, რომელმაც “წითელი გერორი” სახელმწიფო პოლიტიკად აქცია. მას შემდეგ მსოფლიოში სხვადასხვა მასშტაბის და სახის ათასობით გერაქტი განხორციელდა. ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ და სისხლიან გერაქტად უდაოდ ითვლება 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე და ვაშინგტონში პენტაგონზე განხორციელებული თავდასხმა, რომლის შედეგად დაიღუპა 3000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო მაგერიალურმა ზარალმა 20 მილიარდ დოლარს მიაღწია.

გერორიზმი არ არის ერთმნიშვნელოვნად გაგებული ან განმარტებული მსოფლიოში. არც თუ ისე იშვიათად, ერთი და იგივე ძალისმიერი ქმედება სხვადასხვაგვარად ფასდება და მას მიეწერება თავისუფლებისთვის, თვითგამორკვევისათვის ბრძოლის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, პარტიზანული ომის, სეპარატიზმის, ამბოხების ან ბანდიტიზმის სტატუსი. ამავე დროს, გერორისგულ აქტებად შერაცხვეს აბორტის დაკანონების, ბირთვული იარაღის გავრცელების, გარემოს გაბინძურების საწინააღმდეგოდ (მაგ., ეკოლოგიური ორგანიზაცია “გრინპისის” მიერ) ჩატარებული აქციები, იმ შემთხვევებშიც კი, თუ მათ მსხვერპლი ან სხვა საგრძნობი ზარალი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ჩამოყალიბდა გარკვეული კრიტერიუმები, რომელსაც ეყრდნობა ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა და რომელიც გვეხმარება გავერკვიოთ გერორიზმის

როგორც წარსული ისტორიული ეგაპების, ასევე თანამედროვე ეგაპის არსსა და თავისებურებებში.

“გერორი” შიშს, ხოლო “გერორიზმი” - დაშინებას ნიშნავს. შესაბამისად, “გერორიზმი” მძიმე დანაშაულის სხვა სახეობებისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მისი მიზანი, გაცხადებულ კონკრეტულ მიზანთან ერთად (წაყენებული პირობების შესრულება, სამიზნის განადგურება და ა.შ.) და მასზე უფრო მეტად, სამოგადოების დაშინებაა. მიუხედავად იმისა, ერთი ადამიანია აფეთქებული ან მძევლად აყვანილი, თუ ხუთასი, გერორიზმთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტი სამოგადოების სერიოზულ დაშინებაზეა გათვლილი, რომლის შედეგად, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები წრეების მხრიდან, გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაა მოთხოვნილი. ამავე დროს, სრულიად კანონზომიერია ისიც, რომ გერორიზმის შედეგად სახელმწიფო პოლიტიკა მხოლოდ მკაცრდება იმ ჯგუფების მიმართ, რომელთა დასაცავად და რომელთა ინტერესებში მოქმედებენ გერორისტები.

ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონში გერორიზმი გაგებულია როგორც “მმართველობა დაშინების გზით” [“Governance by intimidation”]. ამის საწინააღმდეგოდ, დღეს გერორიზმს *მმართველობა დაშინების* აზრით უფრო ხმარობენ. გერორისტულ აქტად ოფიციალურად მხოლოდ კერძო პირთა მიერ მშვიდობიან (არასაომარ) პირობებში განხორციელებული აქტი ითვლება. (გავიხსენოთ, თუ რამხელა ძალისხმევა დასჭირდა ამერიკის იმდროინდელ მთავრობას, რათა პრეზიდენტ ჯონ კენედის 1963 წლის 22 ნოემბრის მკვლელობა მარტოხელა მკვლელის ნამოქმედარად გამოეცხადებინა და არ შეექმნა მისი გერორისტულ აქტად კვალიფიკაციის პრეცედენტი).

ამავე დროს, ოფიციალური დოკუმენტებისგან განსხვავებით, პუბლიცისტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ე.წ. *სახელმწიფოებრივი გერორიზმის* ცნებას, რომელშიც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ან სხვა ქვეყნის მოსახლეობის დასაშინებლად და დასათრგუნავად ჩადენილი ქმედებები იგულისხმება (დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში ‘სახელმწიფოებრივი გერორიზმი’ იხმარება მხოლოდ ცალკეული კრიმინალური რეჟიმების მიმართ, როგორც იყო, მაგალითად, ნაცისტური გერმანია, და ზოგიერთი სხვა გოგალიგარული რეჟიმებისა, როგორც საბჭოთა კავშირი – რომელნიც აუცილებლად გერორიზმის ექსპორტიორებადაც ითვლებიან.)

ცნების ასეთი ისტორიული ევოლუციის მიზეზებს ქვემოთ შევხებით. ახლა აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფოებრივი სისტემები დაინტერესებული არიან დაამკვიდრონ ტერორიზმის ისეთი გაგება, როდესაც ტერორისტულ მსგავს აქცია ხელისუფლების მხრიდან ტერორიზმის კვალიფიკაციას ვერ დაექვემდებარება. ამას ნაწილობრივ უკავშირებენ სახელმწიფოებრივი მმართველობის სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა თანახმად მხილოდ და მხოლოდ სახელმწიფოს (და არა კერძო პირს ან ასეთთა ჯგუფს) გააჩნია *მონოპოლია ძალადობის გამოყენებაზე* (იხ. 10) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (გარედან აგრესიაზე პასუხი, მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის აღკვეთა, სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა და სხვ.). მიუხედავად ამისა, უამრავი შემთხვევებია აღრიცხული სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელი გამოყენებისა, გენოციდის და თვითგენოციდის ჩათვლით. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის ექსპერტები ვერ თანხმდებიან იმაზე, ჩაითვალოს თუ არა ტერორისტულ აქტად ძალადობის მუქარა, თუ მხოლოდ უკვე ჩადენილი ძალადობა, რაც, შესაბამისად, კანონმდებლობაში ორაზროვნობას იწვევს.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გამოყენებული განსაზღვრების თანახმად, ტერორიზმი არის *“სუბნაციონალური ჯგუფების ან ფარული აგენტების მიერ წინასწარ მოფიქრებული და სამოქალაქო შეუიარაღებელი ‘სამომხმუნების’ წინააღმდეგ ჩადენილი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, რომელიც ‘ფართო აუდიტორიაზე’ გეგავლების მოხდენას ისახავს მიზნად”* (იხ. 5). ყველაზე მოკლე განსაზღვრება ტერორიზმის ცნობილ მკვლევარს ა.პ.შმიდს ეკუთვნის: *“ტერორიზმის აქტი = ომის დანაშაულის მშვიდობილიროინდელი ექვივალენტი”* (1992). შმიდის და იანგმენის მონოგრაფიაში ტერორიზმის სულ ცოცხა 109 განსაზღვრებაა მოყვანილი, რომელთაგან აგორები საბოლოოდ ვერ ირჩევენ საუკეთესოს, რაც ასევე ტერორიზმის ფენომენის სირთულესა და მლავალწახნაგოვნობაზე მეტყველებს. ხოლო ყველაზე ვრცელი ბოლოდროინდელი გამოკვლევა, რომელიც გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებას მიმოიხილავს, 1866-გვერდიან სამგომეულს წარმოადგენს.



ტერორისტულ აქტს ეძლევა *საერთაშორისო ტერორიზმის* კვალიფიკაცია, თუ იგი იმ ტერიტორიის გარეთ ხორციელდება, რომელსაც მიეკუთვნებიან აქტის ორგანიზატორები და/ან ჩამდენნი, ან თუ მასში ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეები მონაწილეობენ (მსხვერპლის ან ჩამდენთა სახით). საერთაშორისო ტერორიზმის ყველა ცნობილი აქტი უკავშირდება რომელიმე გადაუჭრელ საერთაშორისო ან რეგიონულ კონფლიქტს, ხოლო კონკრეტული ტერაქტის მასშტაბი და სიმძაფრე, შესაბამისად, განპირობებულია იმ კონფლიქტის სახეობითა და ინტენსივობის დონით, რომელსაც ეს აქტი უკავშირდება.

ათიათასობით საჯარო ძალადობის აქტიდან, რაც მსოფლიოში აღირიცხება ყოველწლიურად, ათასზე მეტი კვალიფიცირდება ტერორისტულ აქტად (მაგ., 152 შემთხვევა კოლუმბიის ნავთობსადენის დაზიანების მცდელობისა გადის ტერორისტულ აქტებში), ხოლო სულ რამდენიმე ასეული გადის ოფიციალურად საერთაშორისო ტერორიზმის კატეგორიაში (თუმცა მათი რიცხვი მაგულობს). ამავე დროს, ქვეყნების მიხედვით მათი დანაწილება ძალზე არაერთგვაროვანია. მაგალითისთვის, 2000 წელს მსოფლიოში აღირიცხა საერთაშორისო ტერორიზმის 423 აქტი; მათ შორის, ახლო აღმოსავლეთზე გაცილებით ნაკლები წილი მოდის (16), ვიდრე შეგვეძლო წარმოგვედგინა: თითქმის ნახევარი იმისა, რაც ევროპაზე მოდის).

ტერორიზმის მსოფლიოში მიღებულ სხვადასხვა განსაზღვრებას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მათში სტაბილურად მონაწილეობს შემდეგი მახასიათებლები:

- ტერორისტული აქტი დიდი სოციალური ჯგუფის ან მთლიანად საზოგადოების ან სახელისუფლო წრეების დაშინებას ისახავს მიზნად;
- ტერორიზმი შეგნებულად აგდებს რეალურ საფრთხეში სამოქალაქო პირებს, უდანაშაულო ადამიანებს, რომელთაც ის სამიზნეებად ან იარაღად იყენებს;
- ტერორისტული აქტი წინასწარ დაგეგმილი და მომზადებულია; ის, როგორც წესი, არაა სპონტანური და ექსპრომტად განხორციელებული;
- ტერორისტულ აქტს პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მოტივი გააჩნია; ამათ შორის უმთავრესად ან კიდევაც გამაერთიანებლად პოლიტიკური მოტივი ითვლება;

- გერორისგული აქტი მასობრივ-ფსიქოლოგიურ შოკისებურ ეფექტზეა გათვლილი.

გერორიზმის თანამედროვე სტადიის ნიშანდობლივი ტენდენცია უკავშირდება იმას, რომ წინა ისტორიულ პერიოდებში (მეორე მსოფლიო ომამდე მაინც) გერორისგები აღიარებდნენ “უღანაშაულო სამიზნის” და “უღანაშაულო მსხვერპლის” არსებობას და არიდებდნენ თავს ისეთი აქტების განხორციელებისგან, რაც ამგვარ სამიზნეებს საფრთხეში ჩააგებდა (ე.ი. ერთგვარი დაუწერელი “ეთიკური კოდის” შესაბამისად იქცეოდნენ). ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გერორიზმი მოულოდნელად მკაცრდება და მსხვერპლისადმი ულმობელი ხდება, რის შტამბეჭდავ მაგალითებს იგალიაში ე.წ. “წითელი ბრიგადების” 60-იან და 70-იან წლებში ქმედებები გვაძლევს.

გერორიზმის განვითარების სულ ბოლო ეტაპებს კი ის შემაშფოთებელი თავისებურებები ახასიათებს, რომ გავრცელდა ე.წ. *თვითმკვლელობითი გერორიზმი* – suicidal attack (რომლის დროსაც მიზანი მიღწეულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ სამიზნესთან ერთად გერაქტის შემსრულებელიც - ე.წ. “შაჰიდი” - იღუპება) და ის ტენდენცია, რომ დიდი რაოდენობით მსხვერპლის შემთხვევაშიც კი აქტის ჩამდენი ორგანიზაცია/ჯგუფი აღარ თვლის საჭიროდ რაღაცნაირად გაიმართლოს თავი. ე.ი. მასობრივი ეფექტის მიღწევის მიზნით საზოგადოებასთან აღრინდელი დიალოგის ნაცვლად ხდება გერორიზმის თავის თავში ჩაკეცვა, რაც კონფლიქტის გამწვავების კიდევ უფრო მაღალი დონის მანიშნებელია. ეს არაა აუცილებელი, სემუელ ჰანტინგტონის ცნობილი კონცეფციის (იხ. 8, 9) თანახმად, ცივილიზაციათა შეჯახებით ავსხნათ. უფრო სწორი იქნებოდა, ეს ტენდენცია მსოფლიოში ძირითადი კონფლიქტების ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელობით აიხსნას, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტისა.

### გერორიზმის სოციალური და ეთნოკულტურული ფესვების შესახებ

გერორიზმს უძველესი ისტორია აქვს, თუმცა ის მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში პოულობს ქრესტომატიულ ფორმას და გაცნობიერებას, როგორც სოციალური პრობლემა. საქმე ისაა, რომ

ტერორიზმის თანამედროვე გაგებით აღქმა მხოლოდ იმ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რომელიც განვითარების გარკვეულ დონესაა მიღწეული, განსაკუთრებით კი თანამედროვე ტიპის ('მოდერნულ') საზოგადოებაში, სადაც გაცნობიერებულია დემოკრატიული ღირებულებები და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა. ტერორისტული აქტის მსგავსი ქმედება შუა საუკუნეების ფეოდალური ტიპის სახელმწიფოში საერთოდ არ აღიქმებოდა ასეთად. მხოლოდ თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაშია შესაძლებელი იმ მასობრივი ეფექტის მიღწევა, რასაც ტერორისტები ლამობენ. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი როდია, რომ ტერორიზმი განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში პიკს მიაღწია (2001 წლის 11 სექტემბრის აქტები), რის გამოც მას "შავ ჭირს" ადარებენ და დაწყებული საუკუნის ნომერ პირველ პრობლემად ჩამოყალიბებას უწინასწარმეგყველებენ.

ტერორიზმი შესაფერისი მენგალიტივის მქონე სოციუმის გარეშე ვერ იარსებებდა. ტერორიზმის ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ძირს წარმოადგენს სისხლის აღების ადათი, ანუ ე.წ. ვენდეტა. თემურ საზოგადოებაში ადამიანები დანაწილებული იყვნენ იმის მიხედვით, თუ რა სისხლისა არიან, რა შთამომავლობას ანუ რომელ გვარს მიეკუთვნებიან. თუ რომელიმე გვარის ერთმა წარმომადგენელმა მეორე გვარის წარმომადგენლის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა, ეს 'ცუდმა სისხლმა' გააკეთებინა, შურისძიება უნდა განხორციელდეს აიმ სისხლის მაგარებელთა *კოლექტიური მგრის* მიმართ, ხოლო საფრთხე იარსებებს, სანამ ამ სისხლის მაგარებელი იარსებებს. ამიგომ უნდა მოხდეს სისტემატური განადგურება მგრული გვარის მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენლისა, უმჯობესია, სანამ მოასწრებენ მემკვიდრეობის დატოვებას. საგულისხმოა, რომ ქალებზე ეს წესი არ ვრცელდებოდა, ვინაიდან ქალს პარტიარქალურ საზოგადოებაში დაქვემდებარებული და მეორეხარისხოვანი როლი ეკავა.

სისხლის აღების ადათის გადაგდება ხდება საზოგადოების სტრუქტურული აგებულების პრინციპის შეცვლასთან ერთად, რაშიც უმთავრესად იგულისხმება სახელმწიფოებრივი წყობის, გერიტორიული საზღვრების და მოქალაქეობის წინ წამოწევა სისხლით ნათესაობის ნაცვლად. ხდება იმის გაცნობიერება, რომ პიროვნებაც და მისი ქმედებაც ინდივიდუალურია, ადამიანი კანონისა და თანამეგობრობის წინაშე პასუხს

აგებს ინდივიდუალურად და არა კოლექტიურად, როგორც გვარის ან გომის წარმომადგენელი. ამასთან ერთად, იმ საზოგადოებებში, სადაც არ მომხდარა თანამედროვე საზოგადოებისკენ (ანუ მოღერნიზმისკენ) მენტალური გარდაქმნა, გერორიზმისადმი დამოკიდებულება დღემდე არ არის ჩამოყალიბებული.

მსოფლიოში დღესაც გავრცელებულია თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი მენტალობის ისეთი გაღმონაშთები, როგორცაა ეთნო- და რელიგიური სტერეოტიპები, კულტურული იზოლაციონიზმი და ქსენოფობია (ანუ 'უცხოს' აუტანლობა). გერორიზმის მასაზრდოებელ გარემოს დღესაც ისეთი საზოგადოებები წარმოადგენენ, სადაც "ჩვენ" და "ისინი", "ამიერი" და "იმიერი" გამიჯნულია სტერეოტიპული ბარიერებით, ჭარბობს ეთნონაციონალიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, არაა გაცნობიერებული ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები. ეს არ ეხება მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ანუ ე.წ. მესამე სამყაროს. გაერთიანებული ევროპის ჩამოყალიბებამდე, ზოგიერთ მაღალკულტურულ და განვითარებულ საზოგადოებაშიც აღინიშნებოდა გერორიზმის მოძალეობა, მაგ., 60-იანი და 70-იანი წლების დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში, მაგრამ ეს შიდაპოლიტიკური თვითგამორკვევის პროცესის, აგრეთვე ორპოლუსოვანი გარემოსა და 'ცივი ომის' პირობებში უკიდურესი მემარცხენოების გამოსატყულება და თანმხლები პროცესი იყო.

XXI საუკუნისთვის გერორიზმის მასაზრდოებელი ფაქტორები უმთავრესად გეოპოლიტიკური და სოციალური ხასიათისაა, და მათ გვერდით რელიგიური ფაქტორის სახით გვევლინება ის, რაც სინამდვილეში რელიგიურ ფანატიზმს და საზოგადოებისთვის მისი იდეოლოგიის სახით თავზე მოხვევას წარმოადგენს. *მსოფლიოს არც ერთი რელიგია არ ქადაგებს ძალადობას*, მით უმეტეს, არ ამართლებს არასაომარ ვითარებაში მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელებულ ძალადობას. ახლო აღმოსავლეთში "ჰამასი", "ჰესბოლას" და სხვა დაჯგუფებების ქმედებანი ვერ აიხსნება მხოლოდ მუსლიმთა რელიგიური ომის "ჯიჰადის" ფარგლებში: აქ საქმე უფრო რელიგიური ფაქტორის გამოყენებას ეხება. არსებული დაპირისპირება დღემდე გადაუჭრელი ეთნოგერიტორიული რეგიონული კონფლიქტის შემადგენელი ნაწილია, სადაც რელიგიური მხარე მნიშვნელოვან, მაგრამ არა გადაწყვეტ როლს თამაშობს.

## თანამედროვე გერორისტული ორგანიზაციების აგებულების შესახებ

თანამედროვე საერთაშორისო გერორისტულ ორგანიზაციებს ურთულესი და კარგად დამუშავებული სტრუქტურა ახასიათებთ, რომელიც მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო ცენტრების მუშაობას მომაგონებთ. თითოეული ოპერაცია უმკაცრესი კონსპირაციის პირობებში დიდი ხნის განმავლობაში მზადდება: მაგ., კენიაში აშშ საელჩოზე ალ-ქაედას მიერ 1998 წელს განხორციელებული თავდასხმა, როგორც გაირკვა, მზადდებოდა ხუთი წლის განმავლობაში.

გერორისტული აქტის მომზადება შეიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს: წინასწარ არსებული აგენტურული ქსელის საშუალებით გროვდება და მუსტდება დეტალური ინფორმაცია 'სამიზნის' და მისი გარემოცვის შესახებ, ხდება სუსტი ადგილების შეფასება; გრასპორტისა და მომარაგების სპეციალისტები ამუშავებენ სხვადასხვა სცენარებს, მაქსიმალურად უსაფრთხო გაქცევის მარშრუტების ჩათვლით, ახორციელებენ სიმულაციურ პროცესებს; ხდება იარაღის შერჩევა და აკუმულირება წინასწარ მომზადებულ ადგილებში (ხშირად, ბალისტიკის სპეციალიტთა დახმარებით); ტესტებისა და შედარებითი ანალიზის შედეგად საბოლოოდ შეირჩევა მთავარი და სათადარიგო ვარიანტები; ოპერაციის დაგეგმვის ეტაპის დასრულებისთანავე, ის გადაეცემა განხორციელების ჯგუფს.

რასაკვირველია, თითოეულ ეტაპზე ჩართული ჯგუფები ერთმანეთს არ იცნობენ და არც ინფორმაციას ფლობენ ერთმანეთის შესახებ. ამის მისაღწევად, გერორისტული ორგანიზაცია დაყოფილია მცირე ზომის (2-3 პიროვნება), ერთმანეთისგან იზოლირებულ უჯრედებად, რომელთაგან თითოეულში მხოლოდ ერთი იცნობს ერთ რომელიმე პიროვნებას მეორე უჯრედში. ერთ-ერთი უჯრედის წევრის შეპყრობის შემთხვევაში, ხელისუფლება შეიგყობს მხოლოდ იმ და, მაქსიმუმ, მომიჯნავე უჯრედის საქმიანობის შესახებ. პირამიდის მთლიანი აგებულება იცის მხოლოდ ორგანიზაციის სათავეში მყოფმა რამდენიმე ადამიანმა.

## საზოგადოებაში გერორიზმის აღქმის ძირითადი ფორმები

იმ ქვეყნებში, რომელთაც 'საერთაშორისო თანამეგობრობას', 'განვითარებულ ქვეყნებს' ან 'დასავლეთს' მივაკუთვნებთ (თუმცა მათ შორის იაპონიაცაა და სამხრეთი კორეაც), გერორიზმი ცალსახადაა აღქმული როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული, ხოლო გერორისტი როგორც კანონგარეშე მყოფი და ნაციონალობის არმქონე გარეწარი, რომელსაც კანონი მთელი სიმკაცრით უნდა სჯიდეს.

ყოფილი კომუნისტური სამყაროს, ამისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში გერორიზმისადმი დამოკიდებულება არაერთმნიშვნელოვანია. საზოგადოება იყოფა იმისდა მიხედვით, თუ ვინ არიან კონკრეტული გერორისტები და რა კონკრეტულ ვითარებაში ხდება გერორისტული აქტი, ასევე ვის წინააღმდეგაა მიმართული: 'ჩვენი' მეგობარი თუ მოწინააღმდეგე ჯგუფის თუ საზოგადოების. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ასეთ სოციუმებში ზოგადად არსებობს გერორიზმის გამართლების ფონი. საკმარისია, გავიხსენოთ 2002 წლის 23-26 ოქტომბერს მოსკოვში მომხდარი "ნორდ-ოსტის" ტრაგედიის აღქმა სხვადასხვა პოსტ-საბჭოურ საზოგადოებებში (მაგ., თათარსტანში იმ დღეებში ჩატარებულმა გამოკითხვამ ჩეჩენი მებრძოლებისადმი აშკარა თანაგრძნობა გამოავლინა: იხ. 4). 1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში მომხდარი სისხლიანი აქტის შემდეგ (აღვივდა დაილუპა პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერი, პარლამენტის სპიკერი, მისი ორი მოადგილე და რამდენიმე დეპუტატი) სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგები თავმარდამცემი აღმოჩნდა: გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი (26,8%) თვლიდნენ, რომ გერორისტთა ქმედება ერისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ჩატარებული პოლიტიკური აქციაა (გაზეთი "არავოთი", 1999 წ. 4 ნოემბერი).

გერორიზმი, როგორც წესი, მოგივირებულია გარკვეული რეალურად არსებული გადაუჭრელი პრობლემით, რომლის გადასაწყვეტად ან რომლისთვის შურის საძიებლად ხორციელდება ან თითქოსდა ხორციელდება გერორისტული აქტი. შესამაბისად, საზოგადოების ნაწილში სავსებით შესაძლებელია გავრცელდეს კონკრეტული გერორისტებისადმი სიმპატიის, სიბრალულის ემოციები. მიუხედავად ამისა, *გერორიზმის გამართლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება*, ვინაიდან ის კაცობრიობის წინააღმდეგ



დანაშაულს წარმოადგენს, კაცობრიობას უპირისპირდება და კაცობრიობის ერთობლივად გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს. ასეთი შეფასების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ გეროროსტული აქტი არასდროს არ ხორციელდება მათ მიმართ, ვინც პასუხისმგებელია პრობლემის შექმნისთვის, და შეგნებულად ირჩევს სამიზნედ უმწეო ადამიანებს. გეროროსტული დაჯგუფების წევრთა ან მათი ახლობლების შევიწროვების, დამცირების ან განადგურების საპასუხოდ ხორციელდება უდანაშაულო ადამიანებზე შურისძიება, მხოლოდ იმის გამო, რომ მსხვერპლი იმავე საზოგადოებას მიეკუთვნება, რომლის სხვა წარმომადგენლებმა გეროროსტებს პრობლემა შეუქმნეს (აქ იგივე “პირველყოფილი” აზროვნება ვნინდება, რაც სისხლის აღების ადათს ახასიათებს). გეროროსტები ხშირ შემთხვევაში აქტის დამსწრე საზოგადოებისგან მოელიან ან პირდაპირ მოითხოვენ, რომ შეიქმნას სახალხო მოძრაობა მათი პოლიტიკური ან სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ანუ საზოგადოებამ აქტიური ქმედების ფასად მონიანიოს “ჩადენილი ცოდვა”. ხოლო როდესაც ასეთი მოძრაობა არ იქმნება, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს გეროროსტების მხრიდან ამ საზოგადოებისადმი სიძულვილს და უკვე გამართლებულად აცხადებენ მისი ნებისმიერი წევრის დაცვას.

სასოწარკვეთილი ადამიანების ქმედებისგან გასასხვავებლად, თანამედროვე გეროროსტების შემზარავი სახის გამოსააშკარავებლად საკმარისია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ დამახასიათებელ ნიშნებს:

- საზოგადოების დაშინების მიზნით “სცენისა და მოქმედ პირთა შერჩევა” და “აქტის დადგმა” ისეთნაირად, რომ მაქსიმალური მასობრივი ეფექტი იყოს მიღწეული;
- გეროროსტების მსხვერპლად შეგნებულად შერჩევა უდანაშაულო და უმწეო ადამიანებისა, მათ შორის, ხშირად, ბავშვების, ქალების, მოხუცების, ავადმყოფების, ინვალიდების და ა.შ.; მათი წამებისა და მკვლელობის უყოყმანოდ განხორციელება;
- ხელისუფლებასთან “ვაჭრობის” პროცესში სიგუაციის უკიდურესად გამწვავებაზე გემის აღება, მძევლების მიმართ უკიდურესი სისასტიკის გამოვლინება;
- გეროროსტების მხრიდან საკუთარი სიცოცხლის შეგნებულად საფრთხეში ჩაგდების ეფექტურად ექსპონირება.

## საფარჯიშო

ტერმინი “ტერორიზმი” ძალზე ხშირად მიეყენება სხვადასხვა სახის სიგუაციებს, ხშირად უმართებულოდ. ამავე დროს, ტერორიზმი სპეციალური სახის ძალადობის აქტია. გაეცანით მოყვანილ მაგალითებს და შეამოწმეთ, სწორად თუ შეგიძლიათ გაარჩიოთ ის სხვა სახის დანაშაულის მაგალითებისგან.

- დიდი ხნის გაუცემელი ხელფასის ლოდინით გამწარებული მუშები პურის ქარხნებს აჩერებენ და, სხვა საწარმოთა მხარდაჭერის იმედით, საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან.
- ელექტროენერჯის არმქონე უბნის მაცხოვრებლები გრასაზე პიკეტს აწყობენ, მოძრაობას კეტავენ და მძღოლებს მოუწოდებენ შეუერთდნენ მათ მათი მოთხოვნების განხორციელებისთვის ბრძოლაში.
- ბოროტმოქმედთა ჯგუფი ადამიანებს იტაცებს გამოსასყიდის მიზნით. მოლაპარაკება უშედეგოდ მთავრდება და შემდგომში მძევლების ცხედრებს პოულობენ.
- კონფლიქტის ზონაში მოქმედი ბოვიკები მძევლებს იყვანენ და საიდუმლოდ მოწყობილ საპყრობილეში ხანგრძლივი დროით ათავსებენ იმისთვის, რომ შემდგომში გასაცვლელი “მასალა” ჰქონდეთ.
- მაგისტრალურ გამსადენზე ღამით ძლიერი აფეთქება მოხდა, ქვეყნის და რეგიონის დიდი ნაწილი დიდი ხნით ბუნებრივი აირისა და, მის შედეგად, ელექტროენერჯის გარეშე დარჩა. გამოძიებამ დამნაშავეები ვერ გამოავლინა, მაგრამ აფეთქების ადგილზე ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილები აღმოაჩინა.
- ციხიდან გამოქცეული პატიმრები ბავშვებით სავსე სასკოლო ავტობუსს იტაცებენ და იმუქრებიან, რომ თავს აიფეთქავენ ავტობუსთან ერთად,

თუ ხელისუფლება მათ გომარაში 500 000 დოლარს არ გამოუგზავნის და უსაფრთხოების კორილორს არ შეუქმნის ქვეყნიდან გასაღწევად.

- მამაკაცი მოედანზე ხელყუმბართ თავს იფეთქებს, ამავე დროს პოლიტიკურ მოწოდებებს გაჰყვირის. დაიღუპა გამჟღელი ადამიანებიც, კიდევ რამდენიმე დაშავებულია, შემდგომში ირკვევა, რომ თვითმკვლელს სულიერი დაავადების ნიშნები ჰქონდა.
- შუაღლეზე საბაზრო მოედანზე ფეთქდება მძლოლის გარეშე დაგოვებული ავტომანქანა. არის მსხვერპლი. ადგილზე შემოწმებით ირკვევა, რომ მანქანა ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო გატენილი. ბოროტმოქმედებისთვის პასუხისმგებლობას თავის თავზე არავინ იღებს.
- შეიარაღებული ჯგუფი თვითმფრინავს იტაცებს, მძველად აყავს ეკიპაჟი და მგზავრები და პირობებს უყენებს ხელისუფლებას (პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლება, საომარი მოქმედების შეწყვეტა და ა.შ.).
- პარლამენტში სიგყვის წარმოთქმის დროს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. მკვლეელი დაკავებულია, რომელიც ერთ-ერთი ექსტრემისტული დაჯგუფების წარმომადგენელი აღმოჩნდა.
- დიდი ქალაქის ერთ-ერთი პოპულარული გამეთის რედაქციაში გაისმა ხარი: საქმიან უბანში განლაგებული ერთ-ერთი შენობა დანადმულია. სასწრაფოდ ევაკუირებულია ხალხი, აგრეთვე რამდენიმე ახლომდებარე შენობიდან. საგულდაგულო შემოწმებამ შემობაში ვერაფერი აღმოაჩინა.

რა აერთიანებს და რა ასხვავებს ერთმანეთისგან ზემოთ მოყვანილ მაგალითებს? დავყოთ ისინი ორ ჯგუფად: (1-7) და (8-11). პირველი ჯგუფის მაგალითებს აერთიანებს ის, რომ *არც ერთი მათგანი გეროროსტულ აქტს არ წარმოადგენს*, თუმცა სახეზეა სხვადასხვა სახისა და დონის ძალადობა, ადამიანთა უფლებებისა და/ან სამოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სხვ. ხოლო მეორე ჯგუფის მაგალითები შეიძლება გეროროსტულ აქტებს მივაკუთვნოთ. მაგალითები სპეციალურად ისე შევარჩიეთ, რომ ზოგიერთი პირველი ჯგუფის მაგალითი ჰგავს გეროროსტულ აქტს, ხოლო ზოგიერთი

პირველი და მეორე ჯგუფის მაგალითები ერთმანეთსაც წააგავს. ტერორისტული აქტის განსხვავება უნდა შეგვეძლოს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტის, ისევე, როგორც საბოტაჟის, დივერსიის, ანგარების მიზნით ადამიანთა დაყაჩაღების, გატაცების, და სხვა ტიპის კრიმინალური აქტებისაგან.

## **ნაწილი II. ტერორისტული აქტის სიგუაცია როგორც პრობლემა.**

### ხელისუფლებისა და ტერორისტების ურთიერთმოლაპარაკების პროცესის შესახებ

როგორც უკვე ითქვა, ტერორისტული აქტი არ არის აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული. ის შეგნებულად დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებაა. აქედან უნდა გამოვიდეთ, როდესაც ტერორისტებთან მოლაპარაკებას ვიწყებთ. ამავე დროს, უდიდესი შეცდომა იქნება ტერორისტებისთვის თავიდანვე გარიგების შეთავაზება, რომელიც მათი პირადი გამდიდრების ან უსაფრთხოების დაცვის გარანტიებზეა აგებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ტერორისტის მიერ გარემოს აღქმა და საერთოდ, მსოფლმხედველობა, ჩვეულებრივისგან მკვეთრად განსხვავდება, ხშირ შემთხვევებში, თუმცა არა ყოველთვის, მათი ფსიქიკა დარღვეულია და ა.შ. ტერორისტის გონებაში დომინირებს უზომოდ გაზრდილი ამბიცია, რომ მას შეუძლია (და ხშირად, როგორც თვითონვე ამბობენ, უზენაესი ძალებისგან ნაკარნახები აქვს) დიდი მასშტაბებით სიგუაცია მართოს, ხალხთა მასები გარკვეული მიმართულებით წარმართოს და ა.შ.

შედარებით იშვიათ შემთხვევებში ვხვდებით მათი მხრიდან ძალთა თანაფარდობის რეალისტურ გათვლას და რეალურად მისაღწევი გარიგების შეთავაზებას (მაგ., მძევლების გათავისუფლება ან გარკვეული თანხის აღება თანამოაზრეთა ციხიდან გამოშვების სანაცვლოდ და სხვ.). ტერაქტის განმუხტვის (მძევალთა გათავისუფლების, დაგეგმილი ტერორის გაუქმების და ა.შ.) საფასური, როგორც წესი, უზომოდ მაღლა, პრაქტიკულად

განუხორციელებელ დონემდეა აწეული. ეს სპეციალურად კეთდება, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ სიგუაცია სწრაფად და ადვილად არ განიმუხტოს, რაც გერორისტული აქტის არსების საწინააღმდეგო იქნებოდა. უფრო მეტიც, გერორისტებს ხშირად სურთ თავიანთი თავი მსხვერპლად და წამებულად წარმოადგინონ, სწორედ იმით, რომ სიგუაცია გამოუვალ ჩიხისკენ წარმართონ.

ზოგ შემთხვევებში, სიგუაციის განმუხტვისთვის ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ძალისხმევის ამაოობა უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ გერორისტებს სულ სხვა, გაცხადებული მიზნისგან განსხვავებული მრავლები აქვთ. ერთ-ერთი აუცილებლად საზოგადოების დაშინებაა; მაგრამ, ამასთან ერთად, შეიძლება სხვა, უფრო კონკრეტული მიზნებიც გააჩნდეთ. ამათი ამოცნობა უთუოდ დაეხმარება მოლაპარაკებაში ჩართულ სტრუქტურებს პროცესის კონსტრუქციული წარმართვისათვის.

#### გერორისტებისა და მძევლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

გერორისტებს, მძევლების აყვანის შემდეგ, ხშირად მოუწოდებენ ჰუმანიზმის გამოჩენისკენ, რაც უმეტეს შემთხვევებში, უაზროა. მძევალს გერორისტი განიხილავს, არა როგორც სულიერ არსებას, არამედ როგორც ვაჭრობის, ბარტერული გაცვლის საგანს, უნივერსალურ ერთეულს (ცნობილია შემთხვევები მძევლის ავტომატზე, ან ნარკოტიკის შეკვრაზე გაცვლისა). საინტერესოა, რომ გერორისტული აქტის მომწყობთა მხრიდან ამ “საგნის” სავაჭრო ღირებულება შეფასებულია იმ საზოგადოების ადამიანური ღირებულებების დონის მიხედვით, სადაც გერორიზმი ხდება. ის გერაქტები, რომელნიც კონკრეტული საზოგადოების დასაშინებლადაა განკუთვნილი, დაგეგმვის პროცესში გამოდის იმ საზოგადოების თავისებურებებისგან. რაც უფრო ცივილიზებულია ქვეყანა და რაც უფრო მაღლა ფასობს იქ ადამიანის უფლებები, მით უფრო ღირებულია თვითთელი მძევალი, სხვა ქვეყნებში კი ღირებულების დანაკლისი მძევალთა რაოდენობით უნდა დაბალანსდეს (ამიგომაც, მოსკოვის 2002 წლის 23 ოქტომბრის ე.წ. “ნორდ-ოსტის” გერაქტში რვაას ადამიანზე ნაკლების აყვანა “მიზანშეწონილი” არ იყო). გერორისტული აქტი იშვიათად ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც გოგალიტარული რეჟიმი, საომარი მდგომარეობაა, ან დაბალ დონეზე განვითარებული საზოგადოებაა,

ვინაიდან იქ ნაკლებად მოსალოდნელია ის სამოგადოებრივი რეაქცია, რაც ტერორისტებს სჭირდებათ.

რა თქმა უნდა, ამ მსჯელობისას ტერაქტის მიზანიც და ხასიათიც (კატეგორია) უნდა იყოს გათვალისწინებული. საერთაშორისო ტერორიზმის ყველაზე მასშტაბური ოპერაციები, როგორც იყო, მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის აქტი, გათვალისწინებული იყო მთელი ამერიკელი ერის, ისევე როგორც მათი მოკავშირეების (უპირველეს ყოვლისა, ისრაელის და ღიდი ბრიგანეთის) დასაშინებლად. ამერიკის სიძლიერის შესაფერისი ოპერაცია უნდა ჩატარებულიყო, “სიმბოლოებიც” ამის მიხედვით იყო შერჩეული და მოსალოდნელი ნგრევის მასშტაბებიც.

ტერორიზმი და ჟურნალისტიკა: პრესისა და ხელისუფლების ურთიერთქმედება ტერაქტის ვითარებაში

ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა არსებობის უმთავრესი ამრიგ იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობას რაც შეიძლება ობიექტური და სრული ინფორმაცია მიეწოდოს. *ხალხს აქვს უფლება იცოდეს, თუ რა ხდება*. ამავე დროს, ექსტრემალურ სიტუაციებში, რომელთა რიცხვს უდაოდ მიეკუთვნება ნებისმიერი ტერორისტული აქტი, უნდა არსებობდეს იმის გაგება (და გარკვეული შეთანხმებაც იმის თაობაზე), თუ როდის რა ინფორმაცია შეიძლება გავიდეს ეთერში თუ პრესის ფურცლებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში ექსტრემალურ სიტუაციებში პრესის ან პრესის მიმართ ქცევის ნორმებისა და უფლება-მოვალეობის მკაცრი რეგულირება დაფიქსირებული არ არის და ვერც იქნება.

11 სექტემბრის უშუალოდ მომდევნო პერიოდში, ამერიკის მას-მედიაში უსიგყვოდ გაიზიარა იმის აუცილებლობა, რომ თავი შეეკავებინათ ისედაც შოკში მყოფი მოსახლეობისთვის გულის ამაჩუყებელი კადრების და დეტალების ჩვენებისგან. თავისუფლებას ჩვეული და სასტიკი კონკურენციის პირობებში მოქმედი ამერიკის პრესა ამჯერად ორგანიზებულად და ერთიანად გამოეხმაურა სახელისუფლო წრეებიდან წამოსულ იმ შემოთავაზებას,



რომლისთვისაც კანონის მიხედვით სრული უფლება ჰქონდა იგნორირება გაეწია (და ხელს ვერაფერს ვერ შეუშლიდა).

ახლა ვნახოთ, თუ რა ხდებოდა რუსეთში 'ნორდ-ოსტის' გრაგელის დროს, რომელსაც სპეცრაზმის შტურმის შედეგად მოჰყვა, გარდა 40 გეროროსისგან, 128 მძევლის დაღუპვა (ძირითადად, მომწამლავი გაზის შედეგად), და უშუალოდ მომდევნო დღეებში. რა თქმა უნდა, 'ნორდ-ოსტი', თავისი პარამეტრებით, სულ სხვა სახის გერაქტს წარმოადგენს (იმის ჩათვლით, რომ საერთაშორისო გეროროზმის მაგალითად ვერ გამოდგება), მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ მას-მედიასთან მიმართებას განვიხილავთ. მოსკოვში არსებულ ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრს ჩაგარებული აქვს ანალიზი და სამართლებრივი შეფასება იმისა, თუ როგორ იქცეოდნენ, ერთის მხრივ, ჟურნალისტები, ხოლო, მეორეს მხრივ, სახელისუფლო სტრუქტურათა წარმომადგენლები, და როგორ ხორციელდებოდა მათი ურთიერთქმედება. ლეგიტიმურად მოსკოვში არსებული განწყობისა შეიძლება გამოდგეს ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველის, ისრაელში რუსეთის ყოფილი ელჩის ალექსანდრე ბოვინის შეფასება, რომ ნორდ-ოსტის დღეებში "გეროროსტების მთავარი დამხმარე ძალა იყო მას-მედია".

ჯერ კიდევ გეროროსტების მხრიდან გარე სამყაროსთან პირველი კონტაქტის დამყარების მცდელობამდე, მოსკოველმა ჟურნალისტებმა თვითონ განახორციელეს ეს რისკიანი ოპერაცია. 23/24 ოქტომბრის შუაღამისას ტელეარხ -ს წამყვანი კირილ პომდნიაკოვი ღია ეთერში მიმდინარე გადაცემის დროს მობილური ტელეფონით უკავშირდება ერთ-ერთ მძევალ ქალბატონს და სთხოვს მას გადასცეს ყურმილი რომელიმე გეროროსტს. შეშინებული ქალის წინააღმდეგობის მიუხედავად (ის ცდილობდა ტელეჟურნალისტიკისთვის აეხსნა, თუ რაოდენ გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლებოდა მოყოლოდა ამას), წამყვანი აღწევს იმას, რომ ტელეფონთან მოდის ერთ-ერთი გეროროსტი, რის შემდეგაც კავშირი წყდება (იხ. 4). რამდენიმე საათის შემდეგ, ისევ მძევლის გამოყენებით, Ren-TV-ს წამყვანი ანა ფედოგოვა ერთი წუთის განმავლობაში ელაპარაკება გეროროსტს, რის შემდეგაც კავშირი წყდება. ხოლო 24 ოქტომბრის დღის 9 საათიდან, გეროროსტები გარესამყაროსთან კავშირის ძირითად არხად იყენებენ Ren-TV-ს დირექტორს დმიტრი ლესნევსკის, ვისი მეშვეობითაც აფართოებენ კონტაქტების ქსელს და იწვევენ საკონტაქტოდ მათ მიერ შერჩეულ პირებს: ანა

პოლიტკოვსკაიას, გრიგორი იავლინსკის, ირინა ჰაკამადას, ბორის ნემცოვს, იოსიფ კობზონს და სხვებს.

იმის დასტურად, რომ ოფიციალურ წრეებში თავიდან სრული დაბნეულობა სუფევდა, შეიძლება ჩაითვალოს რაიმე რეაქციისა ან კომენტარისგან თავის შეკავება და ისიც, რომ არც ჟურნალისტებს მიუღიათ ხელისუფლებისგან რაიმე მითითება. მხოლოდ 24 ოქტომბრის 13 საათიდან საქმეში ჩაერთო ოპერატიული შტაბი, რომლის სახელითაც ეთერში გადიოდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ვასილიევი. მხოლოდ 25 ოქტომბერს, შტურმამდე რამდენიმე საათით ადრე, გაისმა, ისევ ვასილიევის გაქედრებით, მოთხოვნა რომ შეწყდეს მოედნიდან პირდაპირი ტრანსლაცია. ამას მოყვა პრესისა და ტელევიზიის მიმართ მთელი რიგი საყვედურებისა სახელისუფლო სტრუქტურებიდან (და პირადად პრეზიდენტ ვ.ვ.პუტინისგან), ოღონდ რაგომდაც, ძირითადად დამოუკიდებელი, და არა სამთავრობო არსების მიმართ. კომენტარი არ მოჰყოლია ყველაზე დრამატულ საათებში

-ს წამყვანის მიხეილ ლეონტიევის მხრიდან ძალოვანთა შეტევისკენ პირდაპირი მოწოდებას, ისევე როგორც ზოგიერთი გამომსვლელის აღშფოთებაზე, თუ რაგომ დაიარებიან მოსკოვში თავისუფლად ‘კავკასიური ეროვნების პირები’; მეორეს მხრივ, რამდენიმე დღით გაუფრთხილებლად დაიხურა მოსკოვის საოლქო ტელეარხი ‘ მოსკოვია’ მხოლოდ იმის გამო, რომ იქ გაისმა სიტყვები: “ ” (4). პრესის მიმართ კრიტიკამ განსაკუთრებით იმაგა იმის შემდეგ, რაც (ყველა ძირითადი არხით) ნაჩვენები იყო “ალფას” რამზელების მიერ ჩაცხრილული ტერორისტი გოგონებისა და გაზით მოწამლული მძევლების გვამები, ცოცხალმკვდარ მძევლებთან არაადამიანური მოპყრობის კადრები: მათი უსულო საგნებივით ჩაგვირთვა ავტობუსებში და სხვ. ამის შემდეგ პირდაპირ გაისმა მოთხოვნები, რომ ჟურნალისტები ტერაქტის ზონაში აღარ დაუშვან და შეიზღუდოს ექსტრემალური სიტუაციების დეტალების ჩვენება ტელევიზიით და საგაზეთო ფოტოებში. უკეთესი გამოსავალი სახელისუფლო წრეებს თავში არ მოსვლიათ.

#### მას-მედია ტერაქტის ვითარებაში: ზოგიერთი პრინციპი

შეჯამების მიზნით, გამოვეყნოთ ტერაქტის დროს ჟურნალისტების ქცევისა და ხელისუფლებისა და ჟურნალისტების ურთიერთობის ზოგიერთი პრინციპი:

- ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად უნდა ჩამოაყალიბოს მომხდარისადმი დამოკიდებულება და მიაწოდოს ჟურნალისტებს. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ პრესამ მოსახლეობას ყველა შემთხვევაში უნდა მიაწოდოს რაღაც ინფორმაცია, და ამის აკრძალვა ან შეზღუდვა ფუჭე ამოცანაა.
- ხელისუფლებამ არ უნდა გაარჩიოს სამთავრობო და დამოუკიდებელი არხები და გამოცემები, არ უნდა მისცეს მათ განსხვავებული მითითებები და განსხვავებულ კრიტერიუმებზე დამყარებული შეფასებები.
- ჟურნალისტები არ უნდა შეეცადონ საკუთარი ინიციატივით ტერორისტებთან კონტაქტის დამყარებას, მით უმეტეს, ამისათვის მძევლების გამოყენებას; ასევე, ტერორისტებისგან ინტერვიუს აღებასა და მათთვის რაიმე ინფორმაციის მიწოდებას, მოლაპარაკების პროცესში ჩარევას.
- დაუშვებელია, ღია ეთერში გადიოდეს ტერაქტის ტერიტორიის განლაგების დეტალები, ოპერაციის განვითარების სცენარები, და რაიმე სხვა ინფორმაცია, რომელიც ტერორისტებს მიანიშნებს, თუ რა გზას უნდა მიმართონ, რომ კიდევ უფრო გაამძაფრონ მდგომარეობა და გაართულონ მოლაპარაკების პროცესი.
- ექსტრემალურ სიტუაციებში ჟურნალისტების ქცევის ნორმები შეიძლება შემუშავდეს მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტთა აქტიური მონაწილეობით, და მათი გამოყენება უნდა ითვალისწინებდეს სიგყვისა და პრესის თავისუფლების საერთაშორისო ნორმებს.

### **ნაწილი III. ტერორიზმი და პოლიტიკა**

#### ტერორიზმის გამომწვევი პოლიტიკური მიზეზები

მასობრივი და საერთოდ, სერიოზული მასშტაბების ტერორისტული აქტების უმრავლესობა, საბოლოო ჯამში, გამოწვეულია გარკვეულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ელიტების ოპორტუნისტული პოლიტიკით, განსაკუთრებით, ამ ქვეყნებში მცხოვრები ეროვნული, რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ. საერთაშორისო ტერორისტული ქსელების და მათი

მხარდამჭერი სტრუქტურების ჩამოყალიბებას ათწლეულები სჭირდება, მაგრამ მათი ექსპორტი და ახალი არეების ათვისება გაცილებით უფრო სწრაფად ხდება. ამიტომაც, თუკი რაიმე ქვეყანაში გერორიზმის “ტრადიცია” არ არსებობდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის თავისუფალია ამგვარი საშიშროებისგან (განსაკუთრებით, არასტაბილურ ვითარებაში და ტრანზიტულ პერიოდებში).

გერორისტული აქტები, როგორც წესი, იმ საზოგადოებების წიაღში მზადდება ან ხორციელდება, რომელშიც გადაუჭრელი კონფლიქტები არსებობს. არსებობს გარკვეული შესაბამისობა გერორიზმის ფორმებსა და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის ტიპსა და ინტენსივობის დონეს შორის. ძალადობის ფორმა, რომელიც (თამაშის წესების თანახმად) გერორისტების მიერ წაყენებული პირობების შესრულების შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს, გულისხმობს მოლაპარაკების შესაძლებლობას, თუ არა ხელისუფლებასთან, საზოგადოების გარკვეულ წრეებთან მაინც (რომელთა გეწოდის მემფობითაც, გერორისტები ხელისუფლებისგან პირობათა შესრულებას ელიან). ძალადობის ფორმა, რომელიც სტერეოტიპულად ნიველირებული მტრული საზოგადოებისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებაზეა მიმართული, ყოველგვარ მოლაპარაკებას გამოირიცხავს. სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ახლო აღმოსავლეთში, დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე ფეთქებადშია რეგიონში.

საერთაშორისო გერორიზმის გასამხედროებულ ორგანიზაციებს მთელი თავისი ინფრასტრუქტურით – დაფინანსების წყაროები, წვრთნის საიდუმლო ბაზები, შეიარაღება და აღჭურვა, აგენტურა და კავშირები სხვადასხვა გავლენიან წრეებში - ჩამოყალიბების ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება. მთელ რიგ შემთხვევებში, ძლიერ სახელმწიფოებს თვითონ შეუწყვიათ ხელი გერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისთვის (როგორცაა, მაგალითად, ალ-ქაედა) იმ მიზნით, რომ მათთვის არასასურველი რეჟიმების ჩამოგდებაში ან სხვა ძირგამომთხრელ სამუშაოებში დაეხმარებოდნენ. შემდეგ კი, განვითარების გარკვეულ დონეს მიღწეული გერორისტული დაჯგუფებები, იარაღს თვით იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ იყენებდნენ, რომელთაგან ეს იარაღი მიიღეს.

XX საუკუნის ბოლო წლებიდან სახეზეა საერთაშორისო პოლიტიკის გამკაცრების ნიშნები. სანქციონირებული ძალადობა ისევ ხდება მიმზიდველი როგორც საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის უნივერსალური საშუალება. ამასთან ერთად, პოპულარული ხდება ტერორის ტერორითვე ამოძირკვის თეზისი. ამ თეზისის პოპულარიზაციის მიზნით, ძალისმიერი პოლიტიკის იდეოლოგიები ცდილობენ გაამარტივონ საერთაშორისო ტერორიზმის სურათი იმით, რომ ის განუვითარებელი, ჩამორჩენილი ერებისთვის ბუნებრივ ქცევას მიაწერონ: ამ ხალხებს თურმე ის შეშლიათ, თუ რომელ საუკუნეში არიან; ამიტომ ცივილიზებულმა სამყარომ მთელი სისასტიკით უნდა აღკვეთოს ეს უცხო მოვლენა, რათა “დამშინებულთა დამშინებით” იმოქმედოს ტერორიზმის მხარდამჭერ გონებადაქვეითებულ ჯგუფებზე.

ამავე დროს, მსოფლიო ვერ იქნება გაუვალი ბარიერებით დაყოფილი. თვით ამერიკელი ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეერთებული შტატების შიგნით აღმოჩენილ მაღალ დონეზე განხორციელებული ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო მხარდაჭერის გარეშე ალ-ქაედა ვერ დაგეგმავდა და ვერ განახორციელებდა 11 სექტემბრის აქტებს. კომპიუტერული ვირუსების გამომგონებლებიც ხომ ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყნების წარმომადგენლები არიან. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ტერორიზმი ძალისმიერ პოლიტიკაზე ოპერაციათა გაფართოვებით და სისასტიკის გაზრდით პასუხობს, რის შედეგადაც კიდევ უფრო იზრდება მსოფლიოს წინაშე არსებული საფრთხე, და ეს სპირალი იქამდე შეიძლება გაიშალოს, სანამ ტერორისგთა რომელიმე ჯგუფი მასობრივი განადგურების იარაღს არ ჩაიგდებს ხელში და არ შეეცდება უკარნახოს თავისი პირობები მსოფლიოს. ამ გლობალური საშიშროების გაცნობიერებამ უნდა აიძულოს მსოფლიოს პოლიტიკოსები გავიდნენ თანამშრომლობის ახალ მიჯნებზე და მიაგნონ არსებული კონფლიქტების არაძალისმიერი გადაწყვეტის საშუალებებს.

#### ე.წ. “ტერორიზმის მხარდამჭერი ხალხების” შესახებ

დღევანდელ მსოფლიოში, ტერორიზმი ასოცირდება უმთავრესად მუსლიმ ფუნდამენტალიზმთან. აქედან ხშირად კეთდება უმართებულო სტერეოტიპული გადასვლა არაბებზე, როგორც ტერორისგული მენტალიტეტის

და აგრესიული მუხტის მაგარებელ ხალხზე. 1999 წლის წინაპერიოდში, დასავლეთის პრესაში იყო გენდენცია სერბები წარმოედგინათ როგორც გერორონიზმისკენ მიდრეკილების მქონე ერი, რითაც თითქოსდა აიხსნებოდა სლობოდან მილოშევიჩის როგორც ეროვნული ლიდერის პოზიციების სიმყარე, მისი ვოლუნტარისტული შიდაპოლიტიკის მიუხედავად. ამგვარად შექმნილ ფონს ხელსაყრელად თვლიდნენ 1999 წლის მარტში კოსოვოს პრობლემით გამოწვეული ნატოს შეიარაღებული ოპერაციის გასამართლებლად, რომლის შედეგად დაიბოძა სერბიის დედაქალაქ ბელგრადის და სერბიის სხვა ქალაქების საკომუნიკაციო, სამხედრო დანიშნულების და სხვა სასიცოცხლო ობიექტები.

რუსეთში დიდი ხანია არსებობს კავკასიელებზე სტერეოტიპული წარმოდგენა. ჯერ კიდევ 'სოცსინამდვილეში', ბევრი რუსისთვის კავკასიელები იყვნენ უმთავრესად, ის ადამიანები, ვინც მოსკოვის ბაზრებში ვაჭრობს, რაც უკვე დამამცირებელი იარაღი იყო და დაბალგანვითარებულ ხალხზე მიანიშნებდა. ხოლო პოსტსაბჭოურ სინამდვილეში, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ე.წ. 'კავკასიური ერის' სტერეოტიპი და *მგრის ხაგი*, როგორც რუსეთის მთავარი ძირგამომთხრელი ძალისა (შეთქმულების თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად). რა თქმა უნდა, ასეთი ერი ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ის არსებობს თანამედროვე რუსულ მენტალიტეტში. ამ სტერეოტიპის მთავარი რეფერენტი ჩეჩნები არიან. რუსეთში ჩეჩნების მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა პირველ (1996-1998 წწ.) და მეორე (2000-2003 წწ.) რუსულ-ჩეჩნურ ომებს შორის. თუ პირველი ომის დროს, რუსულ სამოგადობაში, განსაკუთრებით, მის განათლებულ ნაწილში, პრევალირებდა ჩეჩნებისადმი სიბრაღული (ე.წ. 'ბრალის კომპლექსი') და ომის შეწყვეტისთვის ძლიერი მოძრაობა არსებობდა, რუსული არმიის მარცხმა რუსებში არასრულყოფილების კომპლექსი გააღვივა, ხოლო 1998 წლიდან რუსეთის ქალაქებში მასშტაბური გერაქტების სერიამ, რომლის შედეგად რამდენიმე მაღალსართულიანი საცხოვრებელი შენობა ააფეთქეს, საბოლოოდ შეამზადა ჩეჩნეთის პრობლემისადმი პუტინის ძალისმიერი მიდგომა.

და ბოლოს, უკანასკნელ წლებში რუსეთის გელევიზიისა და პრესის მხრიდან იყო და გრძელდება მცდელობა წარმოადგინონ ქართველები როგორც გერორონიზმის მხარდამჭერი ხალხი. საბაბად იყენებდნენ პანკისის ხეობის პრობლემის მოუგვარებლობას, ჩეჩენ ლგოლვილთა ყოფნას საქართველოს



ტერიტორიაზე და მოთხოვნილ ექსტრადიციაზე საპასუხოდ ქართული სომბაგალოების გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობას. შემთხვევითი არ იყო ის, რომ რუსეთში გააფთრებულმა ანტიქართულმა კამპანიამ პიკს მიაღწია ამერიკელი ინსტრუქტორების ზედამხედველობით, ქართული ჯარის “წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის” დაწყებისთანავე, როდესაც ამროვნების სტეროტიპიზაციას დაემატა პოლიტიკური მანიპულაციის მომენტი: გეოსტრატეგიული გავლენის სფეროების მოსალოდნელი გადანაწილებისადმი გასაგები რეაქცია.

“ნორდ-ოსტის” ტერაქტის დაწყებისთანავე, რუსეთის ზოგიერთმა ტელეარხმა გადმოსცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოსდა, ტერორისტებმა გამოაცხადეს რომ მძევლებს შორის რამდენიმე ეთნიური ჯგუფის წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველებს, შეუძლიათ დაუყოვნებლივ დაგოვონ დარბაზი. ეს ცრუინფორმაცია აღმოჩნდა; მიუხედავად ამისა, არავითარი განმარტება ან შესწორება მას არ მოჰყოლია: უბრალოდ, მას აღარ იმოწმებდნენ. ძნელია იმის მტკიცება, განზრახ მოხდა ამ ცრუინფორმაციის გაშვება, თუ მხოლოდ იმ სტერეოტიპული განწყობის შედეგად, რაც რუსეთის მას-მედიაში სუფევდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: გოგალიგარული მენტალიტეტის გავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოებები ტერორიზმის საფრთხეს ხედავენ სტერეოტიპულად, განსაკუთრებით, იმ ხალხებზე გავრცობით, რომელთანაც კულტურული გაუცხოება და მოუგვარებელი ურთიერთობები ახასიათებთ.

#### ტერორიზმის აღქმა “შიგნიდან”

“ის, რის გემოც ახლა ნახა ამერიკამ, სრულიად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ვიგანდით ათწლეულების განმავლობაში. ჩვენი ერი ამგვარ დამცირებასა და დეგრადირებას 80 წელზე მეტ ხანს განიცდიდა”. ეს სიტყვები მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისგს ოსამა ბინ ლადენს ეკუთვნის (იხ. 7). სულ სხვაგვარად აღიქმება ამერიკაზე ტერორისგული თავდასხმა თვით ამერიკელების, და არა მხოლოდ ამერიკელების, მიერ. “ჩვენ სამიზნეს წარმოვადგენთ არა იმის გამო, თუ რა მოვიმოქმედეთ ან ჩავიდინეთ, არამედ იმის გამო, თუ რანი ვართ, რას ვასახიერებთ, რა გვწამს, და რაზეც ჩვენი ქვეყანაა დაფუძნებული: თავისუფლებისა და თანასწორობის დაწყვილებული

პრინციპი”, წერს ამერიკის ყოფილი განათლების მინისტრი ვ.ჯ. ბენეტი, “ამერიკელები ტერორიზმზე გამარჯვებისთვის” ეროვნული კამპანიის წამომწყები (იქვე). უამრავი თვითმხილველი და მკვლევარი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 11 სექტემბერი ამერიკელი ერის კონსოლიდაციის უმძლავრესი ფაქტორი აღმოჩნდა. ამავე დროს, აი რას წერს ამერიკული პოლიტიკის ცნობილი კრიტიკოსი, ღვაწლმოსილი ამერიკელი მეცნიერი ნოამ ჩომსკი წიგნში “11 სექტემბერი”: “თუკი საერთოდ გვსურს სერიოზულად მივუღვეთ საკითხს, უნდა ვაღიაროთ ის, რომ მსოფლიოს დიდი ნაწილის მიერ შეერთებული შტატები აღქმულია როგორც წამყვანი ტერორისტი სახელმწიფო, და არცთუ დაუსაბუთებლად” (6, გვ. 23). თავის კრიტიკულ მსჯელობებში ჩომსკი ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკის სპეცსამსახურები თავის დროზე აძლიებდნენ და ამარაგებდნენ როგორც თვით ბინ ლადენს, ასევე თალიბების მოძრაობას ავღანეთში და სხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, გაყავს რა ამრიგად იმის შესახებ, რომ დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკა შეუძლებელია სრულიად გამიჯნული იყოს საერთაშორისო ტერორიზმისგან. ამრიგად, გვაქვს ერთი და იგივე მოვლენის სულ ცოცხალი სამი მკვეთრად განსხვავებული ახსნა.

ამერიკელები (და მათთან ერთად, მილიონობით სხვა ადამიანი მთელს მსოფლიოში) ბინ ლადენს და ალ-ქაედას უყურებენ როგორც თანამედროვე სამყაროსთვის სრულიად არაადექვატურ და ანომალურ მოვლენას, შორეული ისტორიული წარსულის რეციდივს, რომელთანაც დაახლოებით ისევეა შეუძლებელი დიალოგი, როგორც ტელეეკრანზე მოსაუბრე ადამიანისთვის ხელის ჩამორთმევა. გაუგებარი, საშინელი ურჩხული... ამავე დროს არანაირი რელიგიური მოტივი მტრული ძალის – საერთაშორისო ტერორიზმის – ამერიკელთა მხრიდან აღქმაში არ მონაწილეობს.

ტერორიზმის გამაძლიერებელი ფაქტორები და გამამართლებელი პროპაგანდა ბუნებრივად მკვიდრდება გოგალიგარული იდეოლოგიის ქვეყნებში (კლასიკური მაგალითია საბჭოთა კავშირი), ხოლო უკიდურეს ფორმებს პოულობს ქვეყნებში, სადაც რელიგიური ფუნდამენტალიზმი სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. რელიგიური ფუნდამენტალიზმი - გოგალიგარული იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმაა, ხოლო მისი მაგარებელი საზოგადოება, როგორც წესი, ე.წ. *შეთქმულებითი მენტალობის* გავლენის ქვეშ იმყოფება. იდეოლოგიის დამცველი რეჟიმის თვით-აღქმაში, ის სწორედ იმიტომ

საჭიროებს თავისუფლებების შეზღუდვებსა და რეპრესიების გაგარებას, რომ მას მუდმივად ემუქრება გლობალური ძალების შეთქმულებები, რომელნიც საბოლოოდ ერთი ცენტრიდან იმართებიან (ესეც შეთქმულებითი აზროვნების დამახასიათებელი ნიშანია).

არაბთა და სხვა მუსლიმი ერების გარკვეული ნაწილის თვალში, ანუ, ასევე მილიონობით ადამიანისთვის მსოფლიოში, ამერიკა წარმოადგენს უცხო, მგრულ და მათი განვითარებისა და თვითმოფადობის დამორგუნველ გლობალურ ძალას. (ასეთი სურათის ჩამოყალიბებაში უდიდესი ფაქტორის როლს თამაშობს, მათი აზრით, ამერიკის მხრიდან არაბთა გრადიციული მეგობის – ებრაელთა სახელმწიფოს ცალსახა მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, სამშვიდობო თუ კონფლიქტის გამღვივებელ პოლიტიკას აგარებს ისრაელი არაბთა მიმართ).

შესაბამისად, ვინც მგრის მგერია, ის მეგობარია. ურწმუნო საბჭოთა კავშირი ფუნდამენტალისტი მუსლიმი სამყაროს მიერ აღიქმებოდა, უპირველეს ყოვლისა, არა თავისთავად (ამ შემთხვევაში იგი ნაკლებ სიმპატიებს იწვევდა), არამედ როგორც გლობალური ანტიამერიკული და ანტისიონისტური ფუნქციის მაგარებელი. ამოგომაც, ასეთი სინანულით იხსენებენ ამერიკა-ისრაელისადმი დაპირისპირებულ წრეებში საბჭოთა იმპერიას და ასეთი სიმპატიით არიან განწყობილი ჟირინოვსკის ყაიდის თანამედროვე რუსი პოლიტიკოსებისადმი.

მნიშვნელოვანია, რომ 11 სექტემბრის აქტები, გერორიზმის გამამართლებელი მუსლიმი ფუნდამენტალისტების თვალში, ალაჰის კურთხევით განხორციელებული დაგრყმა იყო არა იმდენად ადამიანთა მასობრივი მოსპობის მიზნით (ეს თანმხლები ეფექტი იყო), როგორც ამერიკის ძლიერების აუგანელი საგანიური სიმბოლოების განადგურების მიზნით, როგორცაა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, პენგაგონი, კონგრესი და თეთრი სახლი (თუმცა, ბოლო ორ შემთხვევაში მიზანი მიღწეული ვერ იყო); ე.ი. ამ გერაქტების და გერორიზმის მხადრამჭერთა წრეებში მათ აღქმას რელიგიური დაგვირთვა გააჩნია.

ნებისმიერი მსჯელობის დროს, საჭიროა, გაცნობიერებული გექონდეს დისკუსიის ისეთი მაცდუნებელი შეცდომები, როგორცაა მოვლენათა შეზღუდული ჯგუფებისათვის ძალის მქონე დახასიათებების და დასკვნების უმართებულო განზოგადება (გენერალიზაცია) და გავრცობა (ექსგრაპოლაცია).

თანამედროვე გერორიზმის აღმწერ ლიგერატურაში, რომ არაფერი ვთქვათ ჟურნალისტიკაზე, არსებობს სწრაფვა, გამოაცხადონ ის ისლამურ, არაბულ, ჩინურ და ა.შ. ფენომენად, რაც საფუძველშივე მცდარია. ამ გზით ღრმავლდება ქრისტიანული და ისლამური სამყაროს “ურთიერთშეუთავსებლობისა” და “ცივილიზაციურად დაპირისპირებულობის” შესახებ მცდარი იდეა.

#### გერორიზმი: ომის დანაშაული არასაომარ დროში?

ბუნებრივია, რომ ნებისმიერი გერაქტის სურათი სრულიად განსხვავებულად გამოიყურება, ერთის მხრივ, გერორისგთა ან მათ მხარდამჭერთა მხრიდან და მეორეს მხრივ, მსხვერპლის, მძევლების და მათი ახლობლების თუ გულშემათიკიერების მხრიდან. მთლიანად იმ საზოგადოების მხრიდან, რომელსაც მიეკუთვნებიან მძევლები და რომელშიც ხდება გერორისგული აქტი, ეს უკანასკნელი აღიქმება როგორც არასაომარ ვითარებაში უდანაშაულო მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედება, რომლის ჩამდენნი უნდა დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით. თვით გერორისგის თვალში, გერორისგული აქტის სცენა სულ სხვაგვარად გამოიყურება. ის უფრო წააგავს ომის დროს მგრის მურგში ჩაგარებულ დივერსიულ ოპერაციას. მძევლები უდანაშაულონი არ შეიძლება იყვნენ თუნდაც იმიტომ, რომ მიეკუთვნებიან იმ საზოგადოებას, რომელშიც ან რომლის გამო, გერორისგის თვალში, მისმა ხალხმა ან მისმა მეგობრებმა განჯვა, დამცირება და ექსპლოატაცია განიცადეს. გერორისგს უკვე მოხდენილი აქვს ბრალის გავრცელება დიდ სოციალურ ჯგუფზე ეთნიური, რელიგიური, იდეოლოგიური ან კლასობრივი ნიშნის მიხედვით. ეს თუ უდანაშაულო ხალხია, მაშ რატომ არ აღუდგენ წინ თავის ხელისუფლებას, რატომ არ გადააყენეს ის, როდესაც ის სხვა ხალხის მიმართ გენოციდს სჩადიოდა, მიწა-წყალს ართმევდა, ეროვნულ უმწირესობას ავიწროებდა, პოლიტიკურ პატიმრებს ამრავლებდა, კოლონიალურ ექსპლოატაციას ეწეოდა და ა.შ.? რა თქმა უნდა, იმიტომ (ისევ გერორისგის აზრით) რომ ეს საზოგადოება მდიდრდებოდა სწორედ ხელისუფლების იმ ქმედებათა შედეგად, და ეს სხვა ხალხთა სისხლით გამძლარი საზოგადოება უნდა იმსახურებდეს სამართლიან შურისძიებას, დამცირების გამოცდილებას. აქაც ადგილი აქვს აცდენილ ბრალდებას და ყალბ დასაბუთებას, ვინაიდან რეჟიმების პოლიტიკისათვის ხალხების გასამართლების უფლება არავის აქვს.

დავუბრუნდეთ ტერორისტთა იმ არგუმენტს, რომლის თანახმადაც ტერაქტის თეატრი მათთვის საომარ მოქმედებათა თეატრია და ამიგომ მშედობიანი ღრვის გადასახედიდან არ უნდა ფასდებოდეს. საერთაშორისო სამართლის ის დარგი, რომელსაც *ჰუმანიტარული სამართალი* ეწოდება, სწავლობს ომის ან ომთან გათანაბრებულ ვითარებაში ურთიერთობათა წესების დადგენისა და დანაშაულის შეფასების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც “ომის დროსაც კი, უდანაშაულო სამოქალაქო პირების მიმართ განზრახ გამიზნული ძალადობა წარმოადგენს ბოროტმოქმედებას. ზუსტად ასევე, ძალადობა რომელიც საომარ მოქმედებათა თეატრის დადგენილ გეოგრაფიულ ჩარჩოებს სცილდება და ნეიგრალური ან არამონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე ვრცელდება, წარმოადგენს ომის დანაშაულს” (11, p. 4). ამრიგად, საომარ ვითარებაშიც კი საერთაშორისო სამართალი არ იძლევა რაიმე საფუძველს ტერორიზმის გამართლებისთვის.

#### კითხვები ფიქრისთვის, არა პასუხისთვის

- გარდაუვალია თუ არა ის, რომ ნებისმიერი გლობალური მასშტაბით მოქმედი პოლიტიკური ძალა მრავალი ადამიანის და საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ აღიქმება როგორც იმპერიული და მცირე და განვითარებადი ერებისთვის დამთრგუნველი, თუ ეს განპირობებულია კონკრეტული ძალის კონკრეტული ქმედებებით?
- შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო ტერორიზმის ერთმნიშვნელოვანი შეფასება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ ან მათი მხრიდან ერთობლივი კოორდინირებული ქმედება ტერაქტის აღკვეთის მიზნით?
- როგორ (ან რომელ სიმაღლეებზე) უნდა ამაღლდეს საზოგადოება, რომ ობიექტური თვითშეფასების უნარი გამოიმუშაოს და ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაზე უარი თქვას?
- შესაძლებელია თუ არა ექსტრემალურ სიტუაციებში ჟურნალისტის ქცევის კოდექსმა იმუშაოს ისეთ საზოგადოებებში, სადაც განუვითარებელია სამართლებრივი ცნობიერება და რეალურად არ ხორციელდება კანონმდებლობა?

- სადაა ის ზღვარი, რომელიც გამიჯნავს მას-მედის მომხმარებლისთვის მისაწოდებელ ინფორმაციას ტერორისტებისთვის გამოსაყენებელი ინფორმაციისგან, ან ვის ენიჭება ამის დადგენის უფლება?

### **მთავარი დასკვნები**

1. ტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც კონკრეტულ ქვეყნებს და რეგიონებს, ასევე კაცობრიობას მთლიანად, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო დესტაბილიზაციის საშუალებას წარმოადგენს.
2. ტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, რომლის გამართლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.
3. ტერორიზმის გზით შეუძლებელია ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე იმ პოლიტიკური ცვლილებების მიღწევა, რასაც ტერორისტები თავიანთ მიზნად მიაჩნიათ.
4. ტერორიზმის გავრცელებას და განვიტარებას ხელს უწყობს გოგალიგარული იდეოლოგია და რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ისევე როგორც ექსპანსიონისტური, ველიკოდერჟავური, მონოპოლისტური საერთაშორისო პოლიტიკა, ეთნოგერიტორიული და რელიგიური კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის მცდელობა.
5. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პრევენციული ზომების გათვალისწინებით, რაშიც უპირველეს ყოვლისა იგულისხმება კონფლიქტების თავიდან აცილება, დაბალანსებული და მშვიდობისმოყვარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება, ადამიანის და ადამიანთა კავშირების ფუნდამენტურ უფლებათა დაცვა.
6. კაცობრიობის უსაფრთხო მომავალი შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად, საერთო ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე ჩამოყალიბებული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემების შექმნის გზით, რომელნიც ითანამშრომლებენ ერთმანეთთან ნებისმიერი საფრთხის დროულად ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შურაბაშვილი, დავითი, *ტერორიზმი – ეს ამროვნების სახეა*, თბილისი, 2002.
2. . . . . ( . . . . . ), . . . . . ), . . . . . ( . . . . . ), . . . . . , 5 (23), 2002.
3. . . . . . . . . . . : . . . . . , 2002.
4. . . . . ( . . . . . ), 23-26 . . . . . ), . . . . . , 2002.
5. *The Basics of Terrorism*, Part I, Terrorism Defined, The Terrorism Research Center, ([www.terrorism.com](http://www.terrorism.com)), 2002.
6. Chomsky, Noam, *9-11*, New York: Seven Stories Press, 2001.
7. Galtung, Johan, *USA, the West and the Rest after September 11/October 7 2001* (Report available at the TFF website).
8. Huntington, Samuel P., *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*, New York: Touchstone Books, 1998.
9. Huntington, Samuel P., The Clash of Civilizations? *Foreign Affairs*, Summer 1993
10. Vayrynen, Raimo, ed., *New Directions in Conflict Theory (Conflict Resolution and Conflict Transformation)*. London: Sage Publications, 1991.
11. Encarta Encyclopedia/Terrorism.
12. Oxford English Dictionary/Terrorism.
13. Vayrynen, Raimo, ed. *New Directions in Conflict Theory (Conflict Resolution & Conflict Transformation)*. London: Sage Publications, 1991.





Знак бытотопи, 5 кл  
"История"  
2001 6-й класс



Рисунки Вики Хучушвили  
(5 кл), "История" 2001.